

თვითშეფასებისა და დაძლევის სტრატეგიების ურთიერთმიმართება

სოფიო მიქაბე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე
კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ილიას
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია თვითშეფასებისა და დაძლევის სტრატეგიების ურთიერთმიმართება სტუდენტებში. ინდივიდები განსხვავებული გზით ახერხებენ სტრესის დაძლევას. დაძლევის რომელ სტრატეგიას გამოიყენებს ინიდივიდი დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე. ერთერთი ასეთი ფაქტორი შეიძლება იყოს თვითშეფასება. სწორედ ამის დადგენას ისახავს მიზნად წინამდებარე კვლევა, არსებობს თუ არა კავშირი თვითშეფასებას და დაძლევის სტრატეგიებს შორის. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 125- მა სტუდენტმა, რომლებიც შეირჩნენ ქალაქ თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. ფსიქოლოგიაში არსებობს რამდენიმე დაძლევის მექანიზმის კითხვარი, რომელთაგან ქართულად ადაპტირებული როჯერის დაძლევის სტრატეგიებია (Roger Coping Style). რაც შეეხება თვითშეფასებას თვითშეფასების გასაზომად გამოვიყენე ასევე ქართულად ადაპტირებული როზენბერგის თვითშეფასების შკალა. აღსანიშნავია, რომ თვითშეფასება არ წარმოადგენს ახალ კონსტრუქტს და მის კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს. თუმცა მისი კვლევა დაძლევის სტრატეგიებთან მიმართებით საკმაოდ მწირია, განსაკუთრებით ქართულ პოპულაციაში. კვლევას ჰქონდა ორი შედეგი: 1. მაღალი თვითშეფასების პირები უფრო მეტად იყენებდნენ დაძლევის „ეფექტურ“ სტრატეგიებს 2. დაბალი თვითშეფასების ინდივიდები კი ნაკლებად „ეფექტურს“. მაღალ თვითშეფასებასა და დაძლევის „ეფექტურ“ სტრატეგიებს შორის აღმოჩნდა სტატისტიკურად მაღალი დადებითი კორელაცია.